



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 19.11.2012 წლის N 107/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ მიქავა (სტუდენტი)

ფაქტები

2018 წლის 21 თებერვალს მომჩივანს წარმოეშვა დავა მეზობელთან. საჩივრის ავტორის მითითებით, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი არის ერთერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გურჯაანში და მას უფლება არ აქვს წარმომადგენლობა განახორციელოს სამოქალაქო საქმეზე. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა საქმეში მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით გაცემული ორდერით. საჩივრის ავტორის შეფასებით, ადვოკატი იტყუებოდა საპროცესო სხდომაზე და უყვიროდა. ამასთანავე, ცილიდასწამა მომჩივანს, როდესაც ამტკიცებდა, რომ მას არ ესმოდა გამიჯვნისა და საზიარო უფლების მნიშვნელობა. ადვოკატი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საერთო სპეციალიზაციის განხრით. მისი განმარტებით, იგი მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის“ კახეთის რეგიონის ოფისში იურისტად და ჩართულია სხვადასხვა პროექტში. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში იგი იცავდა მომჩივნის მეზობლის ინტერესებს, რაც გულისხმობდა როგორც იურიდიულ კონსულტაციებს, ისე წარმომადგენლობას სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, მომჩივნის პრეტენზია, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ცილისწამებას, ყვირილსა და ტყუილს არის უსაფუძვლო ბრალდება.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება.

სამართლებრივი შეფასება

საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი სასამართლო სხდომების მიმდინარეობის დროს მას უყვიროდა, ატყუებდა და ცილს სწამებდა. ადვოკატის ქმედება უნდა შეფასდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 და ადვოკატთა შესახებ კანონის 5(გ) მუხლებთან შესაბამისობაში. ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, გამოირჩეოდეს ქცევის მაღალი სტანდარტების დაცვითა და ამით ხელს უწყობდეს საზოგადოებაში მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობის ამაღლებას. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს გააჩნია როგორც სასამართლოში, ისე ნებისმიერ სხვა სიტუაციაში. შესაბამისად, ადვოკატი პატივისცემით უნდა მოეპყროს მოწინააღმდეგე მხარეს. საჩივრის ავტორის პრეტენზია უკავშირდება სამ გარემოებას: ცილისწამებას, ყვირილსა და ტყუილს, რომელთა დასადასტურებლად წარმოდგენილია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში აღნიშნულ საქმეზე გამართული სხდომის ოქმები.

1. ცილისწამება

მომჩივანი აღნიშნავს, რომ ადვოკატი ცილს სწამებდა მას სასამართლო სხდომებზე გაკეთებული განმარტებების დროს, როდესაც ამბობდა, რომ საჩივრის ავტორს არ ესმოდა გამიჯვნის და საზიარო უფლების მნიშვნელობა. ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.² სხდომის ოქმებიდან ირკვევა, რომ მომჩივანმა წაიკითხა უზენაესი სასამართლოს განმარტება საზიარო უფლების შესახებ, რასაც გამოეხმაურა ადვოკატი შემდეგი სიტყვებით: „საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ეგ წერია,

¹ - <https://qba.ge/pdf/620e30dbc7c26.pdf/107.19,%20ar%20aqhdzvra,%202012.11.19.pdf>

² სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
იურიდიული ეთიკის
მიმართულება

თქვენ საწინააღმდეგო რამე წაიკითხეთ.“ აღნიშნული ფრაზა არ მიიჩნევა არაეთიკურ გამონათქვამად, რადგან მას არ შეეძლო პროცესის მონაწილე პირის უფლებების დარღვევა.

2. ყვირილი

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე ადვოკატი მას უყვიროდა. საქმეში წარმოდგენილ სხდომის ოქმებში ისმის, რომ კამათი მიმდინარეობდა ადვოკატსა და მომჩივანს შორის, თუმცა კამათის მიმდინარეობისას ადვოკატის ქმედება არ გადაზრდილა არაეთიკურ ქცევაში. სხდომის ოქმებზე დაყრდნობით, არ დასტურდება ადვოკატის მხრიდან საჩივრის ავტორისთვის ყვირილის ფაქტი, რომელსაც შეეძლო პროცესის მონაწილე პირის უფლებების დარღვევა.

3. ტყუილი

ეთიკის კომისიამ არ იმსჯელა მომჩივნის პრეტენზიაზე ტყუილთან დაკავშირებით, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის მხრიდან კანონით აკრძალული საშუალებების გამოყენებას, მათ შორის სასამართლოსთვის ყალბი ინფორმაციის მიწოდებას. ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც, მტკიცებულებების ნამდვილობის ფაქტს ამოწმებს სასამართლო.

დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან არ დადასტურდა ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილე მხარის უპატივცემულოდ მოპყრობის ან/და მისი უფლებების დარღვევის ფაქტი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის 9.4 მუხლი, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.გ. მუხლი).